ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელნო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 7

1 9 8 7

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

18586

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (503) ივლისი 1987 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

171. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობის თაობაზე

172. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

173. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი და დადგენილებები

174. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ა. ნ. თავხელიძის, ა. ო. გოცირიძის, მ. პ. წიკლაურის, გ. გ. ჩოგოვაძის, თ. გ. ლეკიშვილის, თ. ი. მათიაშვილის, ზ. [illegible]

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ს. მიხეილოვის, გ. დ. ჯაფარიშვილის, ა. მ. ზოდელავას, ე. პ. ეოიიოცკის, ი. ა. ფეფნა-ლოვის, ი. ო. ანდრეიაძის, ზ. ა. ლაბახუას, ნ. ვ. კომახიძის, ა. ნ. გლურჯიძის, ვ. ი. მაჩარაძის, რ. ნ. ნაჭყებიას, ო. გ. ზუხბაიას და თ. დ. რამიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

175. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად სამანათო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

176. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

177. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

178. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

179. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ა. ი. კავსაძის საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

180. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ვ. მ. კამკამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

181. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

განკოფილება მეორე

182. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეფლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

183. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

184. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

185. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. გრიგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

186. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. მ. ივანკოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

187. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ო. ფოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

188. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

189. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. მ. უბილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

190. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. თ. ფხალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

191. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ჯ. ავიძბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

192. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

193. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ნ. ნაჭყებიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

194. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ა. ომიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

195. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. შ. ხოკერბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

196. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. შ. ბარათაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

197. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. თ. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

198. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ხალხური შემოქმედების წარმომადგენლებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

199. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ჯ. ლობჟანიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

200. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

201. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

202. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ პუბლიკოდუქტების სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

203. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. გ. კარანაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

204. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. ხონიაკინასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

205. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ნ. გვაზავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

206. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. პ. წეროძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

171 „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობის თაობაზე

მოისმინა რა სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. შ. ყულიევისა და გ. თოდუას ინფორმაციები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესასრულებლად ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიაღწიეს ძთელი რიგი დეპუტატთა ფორმირებებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების აქტიურობის აძაღლებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის შესრულების, მოსახლეობის მომსახურების გაუჯობესების, მართლწესრიგის გახმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში.

ამასთან ერთად მითითებული რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის მომდგომი გაუმჯობესების, ცალკეულ დეპუტატთა ფორმირებების მუშაობაში არაორგანიზებულობისა და ინერტულობის აღმოფხვრისათვის საქმიანობის ძირეული გარდაქმნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მოთხოვნებს. არ არის შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მათი როლისა და პასუხისმგებლობის თანამიმდევრული აძაღლების მწყობრი სისტემა, საკმაოისი ყურადღება არ ექცევა მათი საქმიანობის ანალიზს, დაგეგმვასა და ძუშაობის საჯაროობას, რაც არც თუ იშვიათად წარმოშობს ფორმალიზმს დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებებისადმი ხელმძღვანელობაში. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წიგნაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დასმული ამოცანების სარეალიზაციოდ საბჭოების სესიებზე დასახული ღონისძიებები არადამაკმაყოფილებლად სრულდება; ხშირად ბევრი დეპუტატთა ჯგუფი, საგუშაგო, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო

ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მოსახლეობ-
რების სფეროს ობიექტების წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანებისაგან
მოწყვეტილად მოქმედებს, მოუგვარებელია მათი კავშირი შრომითს კოლექ-
ტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახალხო კონტროლის ჯგუ-
ფებსა და საგუშაგოებთან, სამართალდამცველ ორგანოებთან. არცთუ იშვია-
თად დეპუტატთა ჯგუფები და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოე-
ბი ბევრ საჭირბოროტო საკითხს იხილავენ ფორმალურად, იღებენ ზერელე
დადგენილებებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ნაკლებად აძლევენ გეზს
დეპუტატთა ჯგუფებსა და საგუშაგოებს უფრო კონკრეტული მონაწილეობის
მისაღებად ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის
უზრუნველყოფის, საწარმოო დავალებათა შესრულების, სამრეწველო და
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მატერიალური და
ფინანსური რესურსების მომჭირნედ ხარჯვის, საწარმოო და საზოგადოებრივი
ცხოვრების ყველა სფეროში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საქ-
მეში.

სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების
აღმასკომები არასაკმარისად განაზოგადებენ და ავრცელებენ დეპუტატთა და
საზოგადოებრივი ფორმირებების მუშაობის დადებით გამოცდილებას. ეს სა-
კითხები ჯეროვნად არ შუქდება ადგილობრივ პრესაში.

სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებებს ყოველთვის არ აცნობენ
დეპუტატთა ჯგუფებს, ხშირად უგულებელყოფილია მათი როლი სამეურნეო
და კულტურულ მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ეს
ნაკლოვანებანი კი საკმაოდ საგრძნობია. მაგალითად, შარშან სამრეწველო და
სამშენებლო პროდუქციის მიწოდების გეგმა ვერ შეასრულეს ბოლნისის რაი-
სამრეწველო კომბინატმა (96,6 პროცენტი) და საკონსერვო ქარხანამ (84,5
პროცენტი), ჩხოროწყუს საშენ მასალათა კომბინატმა (49,5 პროცენტი) და
რაისამრეწველო კომბინატმა (91,5 პროცენტი); ბოლნისის რაიონში ხარისხის
უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი 1985 წელთან შედა-
რებით შემცირდა 1,5 პროცენტით. სამრეწველო საწარმოებში კვლავ დიდია
კადრების დენადობა. რაიონებში ქმედითი კონტროლი არ ეწევა სოციალურ-
კულტურული დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ დროულ გადა-
ცემას.

ბოლნისში 1984 წლიდან მიმდინარეობს ყოფილი კინოთეატრის შენობის
რეკონსტრუქცია სპორტულ დარბაზად, ხოლო 1981 წელს დაწყებული მად-
ნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშაკთა პროფილაქტორიუმის
მშენებლობა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია.

სერიოზული ჩავარდნებია აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებსა
და ორგანიზაციებში. ბოლნისის რაიონში კარტოფილის მოსავალი 1985 წელ-
თან შედარებით შემცირდა 15,8 პროცენტით, ხილის — 42,2 პროცენტით;
ჩხოროწყუს რაიონში მწვანე ჩაის ფოთლის მოსავალმა ამავე პერიოდში იკ-
ლო 1.122 ტონით; არ შესრულდა ჩაის ფოთლის შექანიზებული კრეფის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალება, მთელი რიგი წლების განმავლობაში არ სრულდება სოიის წარმოების გეგმა (77 პროცენტი).

რაიონებში, განსაკუთრებით სოფლად, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. ბოლნისის რაიონის 48 დასახლებული პუნქტიდან 20-ში, ხოლო ჩხოროწყუს რაიონის 29-დან 2-ში არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. ძალზე ესაჭიროებათ სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ბოლნისის რაიონის სოფლებს სარაჩლოს, ფახრალოს, არუხლოს, ქვეშს, დარბაზს, ძველ ქვეშს.

სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოები ნაკლებად იყენებენ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების შესაძლებლობებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან, მუქთახორობასა და მექრთამეობასთან, საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერებაში. უფრო მეტიც, უმოქმედოდაა ბევრი ამხანაგური სასამართლო და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული. ამის შედეგად რაიონებში ოპერატიული ვითარება არ უმჯობესდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობა „სკკ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესასრულებლად ჩაითვალოს არასაკმარისად.

2. სახალხო დეპუტატთა ბოლნისისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომებმა;

— მიიღონ ზომები დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— იხელმძღვანელონ რა პარტიის XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებით, განუხრელად გაუმჯობესონ დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკა, მიაპყრონ მათი ყურადღება 1987 წლისა და მთლიანად XII ხუთწლედის დავალებათა შესრულებას; ყოველნაირად მიაღწიონ შრომითს კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცებას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, მორალური და მატერიალური წახალისების პრაქტიკულად გამართლებული ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის დავალებათა შესრულების გზით;

№ 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დეპუტატთა ჯგუფებსა და საგუშაგოების მონაწილეობის გაფართოებას საბჭოების საქმიანობაში, სესიების, აღმასკომების გადაწყვეტილებების, მუდმივი კომისიების რეკომენდაციების შესრულებას ორგანიზაციაში, რომლებიც გამიზნულია მატერიალური, საფინანსო და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მიწერების, თვალის ახვევის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობათა შემცირების მიზნით კორექტირების აღმოფხვრისათვის;

— ფართოდ ჩაბან დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურების, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებში, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობისადმი კონტროლის განხორციელებაში;

— დაამყარონ მჭიდრო კავშირი დეპუტატთა ჯგუფებს, საგუშაგოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებს შორის;

— მიიღონ ზომები ამომრჩეველთა განაწესების დროულად განხილვისა და შესრულებისათვის, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებზე ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ, ამასთან ფართოდ ჩაბან დეპუტატთა ჯგუფები მშრომელთა განცხადებებზე, წერილებსა და საჩივრებზე რეაგირებისათვის მუშაობაში;

— გაითვალისწინონ, რომ ახლახან გამართულ არჩევნებში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობა განახლდა 60 და მეტი პროცენტით, საბჭოების პირველ სესიებზე დეპუტატთა ჯგუფებში არჩეულია ბევრი ახალგაზრდა დეპუტატი, განსაკუთრებით მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვიდან და უზრუნველყონ, რომ მათ შეეძინონ შრომითის კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან კოლეგიალური მუშაობის ჩვევები;

— პერიოდულად განიხილონ საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე დეპუტატთა ფორმირებებს, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის საკითხები და გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება საქმიანობის სრულყოფაში;

— ყოველნაირად მიაღწიონ სოციალისტური დემოკრატიისა და დეპუტატთა ფორმირებების მუშაობის საჯაროობის გაფართოების პრინციპების განვითარებას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას;

— აქტიურად შეუწყონ ხელი დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის ფართოდ გაშუქებას ადგილობრივ პრესაში, რადიოგადაცემებში, მუდმივად შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ დაგროვილი დადებითი გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის პირველი აგვისტოსათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 17 ივლისი.
№ 1351—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

172 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელ მდივნად ამხ. გურამ ლევანის ძე **ასპინძელაშვილი.**

განთავისუფლდეს ამ კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისაგან ამხ. იოსებ დიმიტრის ძე **ქუმსიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 29 ივლისი.
№ 1365—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

173 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

ცალკეულ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისათვის დამატებითი შვებულების გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსიდან (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) ამოღებულ იქნეს 70-ე მუხლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 31 ივლისი.
№ 1369—XI

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი და დადგენილებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

174 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ფეკუტატების ა. ნ. თავხელიძის, ა. თ. გოცირიძის, მ. პ. წიკლაურის, გ. გ. ჩოგოვაძის, თ. გ. ლეკიშვილის, თ. ი. მათიაშვილის, ზ. დ. პაპავას, რ. შ. ჭეიშვილის, ა. ს. მიხაილოვის, გ. დ. ჯავახიშვილის, ა. მ. ზოდელავას, ე. პ. ვოიციცკის, ი. ა. მენაღარიშვილის, ი. ო. ანდრიაძის, ზ. ა. ლაბახუას, ნ. ვ. კომახიძის, ა. ნ. გლურჯიძის, ვ. ი. მახარაძის, რ. ნ. ნაჭყებიას, ო. გ. ზუხბაიას და თ. დ. რამიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ალბერტ ნიკიფორეს ძე **თავხელიძის**, ალექსი თევდორეს ძე **გოცირიძის**, მერი პაველეს ასული **წიკლაურის**, გოჩა გიორგის ძე **ჩოგოვაძის**, თამაზ გიორგის ძე **ლეკიშვილის**, თამაზ ილიას ძე **მათიაშვილის**, ზურაბ დომენტის ძე **პაპავას**, რევაზ შალვას ძე **ჭეიშვილის**, ალექსანდრე სერაფიმის ძე **მიხაილოვის**, გიორგი დიმიტრის ძე **ჯავახიშვილის**, ანდრო მამიას ძე **ზოდელავას**, ედუარდ პაველეს ძე **ვოიციცკის**, ირაკლი ათინოგენის ძე **მენაღარიშვილის**, ირაკლი ონისიმეს ძე **ანდრიაძის**, ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუას**, ნოდარ ვლადიმერის ძე **კომახიძის**, ალექსანდრე ნოდარის ძე **გლურჯიძის**, ვახტანგ ივანეს ძე **მახარაძის**, რევაზ ნესტორის ძე **ნაჭყებიას**, ოთარ გიორგის ძე **ზუხბაიას** და თამაზ დიმიტრის ძე **რამიშვილის** უფლებამოსილება, რომლებიც აირჩიეს 1987 წლის 22 თებერვალს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის, გლდანის რაიონის № 19 გლდანის, კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის, ქალაქ გორის № 117 ძნელაძის, თელავის რაიონის № 226 იყალთოს, ახმეტის რაიონის

№ 229 მატნის, ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის № 263 გრიშაშვილის, აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის, ცხაკაიას რაიონის № 321 ლენინის, ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის, ქალაქ ბათუმის № 402 ლენინის და ქობულეთის რაიონის № 413 მუხაესტატეს საარჩევნო ოლქებში და 1987 წლის 21 ივნისს — ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის № 20 მუხიანის, გარდაბნის რაიონის № 97 აღთაღლის, ქალაქ მარნეულის № 168 ლენინის, ზესტაფონის რაიონის № 238 კვალითის, ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის, გეგეჭკორის რაიონის № 350 ბანძის, ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის და ქედის რაიონის № 424 ქედის საარჩევნო ოლქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 99—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

175 პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით საჭირო ღონისძიებები ხორციელდება ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის პროცესში საბინაო პროგრამის კომპლექსური შესრულების, საბინაო მშენებლობის გაფართოების, საბინაო ფონდის ექსპლუატაციის სრულყოფის, საბინაო მეურნეობის განმტკიცების, მოქალაქეთა ბინის უფლების დაცვის გაძლიერების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა 8,5 მილიონი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო პირობები გაუუმჯობესდა 732 ათას კაცს. ამავე პერიოდში ლიკვიდირებულია 500 ათასი კვ. მეტრი ფართობის ბარაკები და სარდაფის ტიპის საცხოვრებელი სადგომები, საიდანაც კეთილმოწყობილ ბინებში გადასახლდა თითქმის 100 ათასი კაცი. ამაღლდა ბინების კომფორტულობა, გაუმჯობესდა მათი დაგეგმარება და ტექნიკური აღჭურვილობა. მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა იმ პროგრამის სარეალიზაციოდ, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს სკკპ XXVII ყრილობის მიერ ქვეყნის წინაშე დასახული ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანა — 2000 წლისათვის თითოეული ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა.

თანამედროვე პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება პარტიისა და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ღერძია, საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა და მისი ეფექტიანი გამოყენება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ამასთან ერთად რესპუბლიკაში კვლავ საცხოვრებელი ბინების დეფიციტია. შედეგად დღეისათვის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზეა 110 ათასამდე ოჯახი.

მიუხედავად ამისა საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ზოგიერთი სამინისტრო და უწყება არა თუ ზრდის, არამედ, პირიქით, ამცირებს კიდეც საბინაო მშენებლობის მოცულობას, არაეფექტიანად იყენებს გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს.

არასახარბიელო მდგომარეობაა ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში, განსაკუთრებით სოფლად, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს მოსახლეობის საკუთარი სახსრებითა და სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით. ამ კატეგორიის საბინაო ფონდის ნამატი მეცხრე ხუთწლედის დაწყებამდე 50 პროცენტს აღწევდა, ამჟამად კი 27 პროცენტს არ აღემატება.

სამშენებლო ინდუსტრიის არსებული ბაზა არასაკმარისია საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საგეგმო მოცულობათა შესასრულებლად. მეტისმეტად გაჭიანურდა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ტექნიკური ხელახალი აღჭურვა. უხარისხოა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სხვა მიმწოდებლების მიერ გამოშვებული საშენი მასალები და ნაკეთობანი; შედეგად დაბალია მშენებლობის ხარისხი.

საწარმოო დისციპლინის შესუსტების, ტექნოლოგიის დარღვევის და ცუდი შრომის ორგანიზაციის, საშემსრულებლო კომპლექსების ხელმძღვანელთა მხრივ მომთხოვნელობის შემცირების, წუნისმკეთებლებისადმი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემრიგებლური დამოკიდებულების შედეგად საბინაო მშენებლობის ბევრ ობიექტზე ანგარიშს არ უწევენ პროექტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, იყენებენ უხარისხო მასალებსა და ნაკეთობებს; დაბალ დონეზეა მუშაობა კადრების აღსაზრდელად, შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რაც უარყოფითად მოქმედებს მთელი სამშენებლო კომპლექსის საქმიანობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს საცხოვრებელი სახლების პროექტირებაც და ახალი მიკრორაიონების განაშენიანების ხარისხი.

სამშენებლო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა არასაკმარისად არის დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმით გათვალისწინებული ზრდის დინამიკასთან; საბინაო მშენებლობის სტრუქტურა კვლავ საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და დაზუსტებას სამშენებლო ბაზის განვითარების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით.

მრავალი წლის მანძილზე საცხოვრებელი სახლების არსებითი ხარვეზებით საექსპლუატაციოდ გადაცემის მანკიერმა პრაქტიკამ წარმოშვა მიწერები, თვალის ახვევა, დამახინჯებანი ანგარიშგებაში და სხვა ნეგატიური მოვლენები, რაც მშრომელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

საბინაო მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა გარკვეულწილად განპირობებულია საქართველოს სსრ სახმშენის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და განსაკუთრებით რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების არასაკმარისი პრინციპული პოზიციით. სამსახურებრივი მოვალეობებისადმი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაკთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ბინების განაწილებაში შეინიშნება ნეგატიური მოვლენები, კვლავ ირღვევა მოქმედი საბინაო კანონმდებლობა, ბინების განაწილებისას საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები; ნელა ხორციელდება ღონისძიებანი საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების ინდუსტრიული მეთოდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის.

ჯერ კიდევ არასაკმარისია მუშაობა კოოპერატივების შექმნისა და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად და სხვა მომსახურების გასაწევად ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით მოქალაქეთა მიზიდვისათვის.

არასრულად გამოიყენება მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესაძლებლობანი საბინაო ფონდის გამოყენების გაუმჯობესებისა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის.

პარტიის XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული კომპლექსური საბინაო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანად მიჩნეულ იქნეს მოსახლეობის საბინაო პირობების მიზანმიმართული და თანამიმდევრული გაუმჯობესება.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული 2000 წლისათვის ცალკე ბინებით ან ინდივიდუალური საცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ‹ასლებით საქართველოს სსრ მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობ-ლემის გადაჭრის ძირითადი მიმართულებანი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

— სრულყოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. წარმართოს ეს მუშაობა რესპუბლიკის საბინაო მშენებლობის გეგმების განუხ-რელი შესრულების უზრუნველყოფისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის;

— უზრუნველყოს სამინისტროებისა და უწყებების, ადგილობრივი საბ-ჭოთა ორგანოების მიერ 2000 წლისათვის ცალკე ბინებით ან ინდივიდუალუ-რი საცხოვრებელი სახლებით საქართველოს სსრ მოსახლეობის უზრუნველ-ყოფის პრობლემის გადაჭრის ძირითად მიმართულებათა რეალიზაცია, კომუ-ნალურ მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმა-ყოფილება;

— 2000 წლისათვის ცალკე ბინებით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით საქართველოს სსრ მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის შეიმუშაოს სამშე-ნებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა გაზრდის დაზუსტებული ხუთწლიანი გეგმები;

— საბინაო მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად გადაწყვიტოს მშენინ-დუსტრიის საწარმოთა უწყვეტ სამუშაო ციკლზე გადაყვანის საკითხი;

— მეტი ყურადღება დაუთმოს და ყოველნაირად შეუწყოს ხელი კოო-პერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გაფართოებას, ახალ-გაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების შექმნას;

— ქმედითი ზომები მიიღოს საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულ-ტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშე-ნებლობის ორგანიზაციის სრულყოფის, დასახლებული პუნქტების კომპლექ-სური განაშენიანების უზრუნველყოფისათვის, მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის უფრო ფართოდ დასანერგავად, სამეურ-ნეო მეთოდით მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებათა კომპლექსი 1988 წლიდან მოყოლებული მშენებარე ობიექტების სახელმწიფო მიღებაზე გადა-სასვლელად სამშენებლო ორგანიზაციების მომზადებისათვის.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა იხელმძღვანელონ რა „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შე-სახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დად-გენილებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუდმივი კონტროლი გაუწიონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიმდინარეობასა და მის ხარისხს, არ დაუშვან საცხოვრებელი და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

— უზრუნველყონ ბინების განაწილებაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ მოქალაქეთა წინადადებების, კრიტიკული შენიშვნებისა და საჩივრების დროული და ობიექტური განხილვა და მათში დაყენებული საკითხების გადაწყვეტა; პერიოდულად მოისმინონ შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშები ამ საკითხებზე და მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები;

— ყოველმხრივ გააფართოონ საჯაროობა, როგორც საბჭოთა საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, უზრუნველყონ, რომ მშრომელთა აქტიურობის ამაღლების, საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში მათი შეგნებული მონაწილეობის, საბინაო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობა ინფორმირებული იყოს საბინაო მშენებლობისა და მოქალაქეთა ბინებით დაკმაყოფილების საკითხებში;

— უფრო ფართოდ გაავრცელონ მოწინავე საწარმოთა ინიციატივა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის დაჩქარების დამატებით შესაძლებლობათა, მათ შორის საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამეურნეო წესის გამოსაყენებლად, ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობაში შრომითი კოლექტივების მისაზიდად;

— აამაღლონ პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების ხარისხის, მათი არქიტექტურული იერსახის გაუმჯობესებისათვის, საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიღების დადგენილი წესის მკაცრი დაცვისათვის, ფართოდ ჩაბაბან ამ მუშობაში მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, სხვა საზოგადოებრივი ფორმირებები;

— გადაჭრით აღკვეთონ სამეურნეო ხელმძღვანელთა ყოველი ცდა — გეგმებიდან ამოიღონ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობა;

— აწარმოონ ყველა დაწყებული ან მშენებლობისათვის გათვალისწინებული ობიექტის ინვენტარიზაცია იმ მიზნით, რათა დადგინდეს თუ რამდენად საფუძვლიანი და გადაუდებელია მათი მშენებლობა;

— ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების ფორმირებისას გაითვალისწინონ საბინაო მშენებლობის საკითხებზე ამომრჩეველთა მიერ დეპუტატებისათვის მიცემული განაწესები;

— აამაღლონ მოქალაქეთა, სახლის კომიტეტების პასუხისმგებლობა საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობისათვის, ჩაუნერგონ მათ საბინაო ფონდისადმი მზრუნველი დამოკიდებულება;

— დააწესოს მკაცრი კონტროლი ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოსა და ორგანიზაციის, თანამდებობის პირის მიერ საბინაო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისადმი, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები, მუდმივად იზრუნონ საბინაო მეურნეობის განვითარებისათვის;

— მიაღწიონ თანამიმდევრულობასა და პრინციპულობას სამეურნეო ხელმძღვანელთა მიერ საბინაო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის საკითხებში, ყველგან შექმნან შეუწყნარებლობის ატმოსფერო მათი გვერდის ავლის ან დარღვევის ცდისადმი; უზრუნველყონ მოქალაქეთათვის გამოყოფილ ბინებში ორდერით გათვალისწინებული შესახლების ვადების ზუსტად დაცვა;

— სრულყონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის შინაარსი და სტილი, აამაღლონ სესიების, აღმასკომების სხდომების შედეგიანობა, გააუმჯობესონ საბინაო მშენებლობის საკითხებზე ძიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაამკაცროს და ზუსტად დაიცვას სპასპორტო რეჟიმი, მიიღოს საჭირო ზომები ძოსახლეობის მექანიკური ზრდის საქმეში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

6. მიმდინარე წლის ბოლომდე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებმა დაქვემდებარებულ, ხოლო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკოძების თავმჯდომარეებმა მათ ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებსა და აღმასკომების შენობებში უზრუნველყოს საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფ პირთა სიების საყოველთაო გასაცნობად თვალსაჩინო ადგილებზე გაძოკვრა; მკაცრი წესრიგი დაამყარონ ძოქალაქეთა პირადი მიმართვების გახხილვის საქმეში, განუხრელად დაიცვან მათი ძიღების დღე და საათები, დაუბრკოლებლივ მიიღონ ყველა მსურველი, გულდასმით მოუსძინონ მათ და მისცენ ამომწურავი, დამაჯერებელი პასუხი.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქაგრომშენმა“, სხვა „ამშენებელ ორგანიზაციებმა, რომლებიც რესპუბლიკაში ახორციელებენ საბინაო მშენებლობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა საბინაო პრობლემის გადაწყვეტისა და საბინაო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დაჩქარების მიზნით უზრუნველყონ:

— საბინაო მშენებლობის გეგმების უთუო შესრულება როგორც საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის, ისე გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ათვისების მიხედვით, მშენებლობის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება; არ დაუშვან ხარვეზებიანი ობიექტების საექსპლუატაციოდ ჩაბარებისათვის წარდგენა;

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986-1990 წლებისათვის სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების რესპუბლიკური პროგრამის რეალიზაცია;

— კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური, საფინანსო და შრომითი რესურსების კონცენტრაცია სამშენებლო ინდუსტრიის მოქმედ საწარმოთა ხელახალი აღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— მიაღწიონ ფასიანი კომუნალური მომსახურების მოცულობის ვაფართოებასა და სახეობათა რაოდენობის გადიდებას, აქტიურად მიიზიდონ რა ამ მუშაობაში ყველა საწარმო და ორგანიზაცია; განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ მოსახლეობის სახსრებით ბინების უკეთ მოპირკეთებისა და მოწყობის სამუშაოთა შესრულებას, მცირე სარემონტო სამუშაოების ყველგან ორგანიზაციას, რომლებსაც საბინაო მეურნეობის ტრესტები ახორციელებენ მოქალაქეთა სახსრებით, აგრეთვე სხვა სახის კომუნალური მომსახურების განვითარებას; მტკიცედ დანერგონ მოსახლეობისათვის მოსახერხებელი მომსახურების პროგრესული მეთოდები და ფორმები; აქტიურად შეუწყონ ხელი კოოპერატივების შექმნას და ამ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას, გაუთმობენ საშინაო მასალებითა და ნაკეთობებით ვაჭრობის და მოსახლეობისათვის მათი მიწოდების ორგანიზაცია;

— უფრო ფართოდ დანერგონ ეკონომიკური მეთოდები საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვაში, მიიღონ ზომები მისი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, წამგებიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობის შესამცირებლად, საბინაო გადასახადსა და კომუნალურ მომსახურებაში დავალიანების სალიკვიდაციოდ;

— უზრუნველყონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკომპლექტება კვალიფიციური სპეციალისტებით, ! რულყონ მათი მომზადება-გადამზადება; უფრო ფართოდ დანერგონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული მეთოდები; მიიღონ ზომები საშემსრულებლო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებლად, მუშაკებისათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების საჭირო პირობების შესაქმნელად.

9. რესპუბლიკის პროკურატურამ და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა შეამოწმონ ბინების დაკეტვა-გამოუყენებლობის საფუძვლიანობა და მიიღონ კანონით დაწესებული ზომები. შედეგების შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

10. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შეამოწმოს გამოყოფილ ბინებში მოქალაქეთა შესახლების თაობაზე მთელ რიგ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გაჭიანურების მიზეზები, მ[illegible]

185486

[illegible] ს. ბ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი დარღვევათა აღმოსაფხვრელად და შედეგების თაობაზე მოახსენონ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მუდმივი კონტროლი დააწესოს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებისადმი და უზრუნველყოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყოველ სესიას მოხსენდეს მათი განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

12. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ საბინაო მშენებლობის, საბინაო ფონდის ექსპლუატაციის, ბინების განაწილებისას საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვის საკითხები.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, შრომითი კოლექტივები, ყველა მშრომელი იხელმძღვანელებენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით და მთელ ძალღონეს მოახმარენ პარტიის მიერ შემუშავებული დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 100—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

176 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1987 წლის 3 მარტისა — „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 3 მარტისა — „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 10 აპრილისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 29-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 15 აპრილისა — „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1987 წლის 22 აპრილისა — „ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 17 ივნისისა — „ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 19 ივნისისა — „ირაყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 22 ივნისისა — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 101—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

177 ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 10 მარტის ბრძანებულება ამხ. ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუას** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 102—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

178 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1987 წლის 31 მარტისა ამბ. ალექსანდრე ამირანის ძე **შუშანაშვილის** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1987 წლის 13 აპრილისა ამბ. აჯიბაგირ აჯი ოღლი **ალახვერდიევის** საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1987 წლის 29 მაისისა ამბ. ვიქტორ აბიბოს ძე **შარაშენიძის** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.

№ 103—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

179 ამხ. ა. ი. კავსაძის საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 1 ივნისის გრძანებულება ამხ. ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძის** საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 104—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

180 ამხ. ვ. მ. კამკამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 25 მარტის გრძანებულება ამხ. ვლადიმერ მინას ძე **კამკამიძის** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 105—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

181 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდნენ დეპუტატები:

გიორგი ალექსანდრეს ძე **ანდრონიკაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

ომარ ნიკოლოზის ძე **მარგალიტაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ნუგზარ ოთარის ძე **ნადარაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ლუბა გიორგის ასული **ნიჟარაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

მიხეილ ალექსანდრეს ძე **წულაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

არჩეულ იქნენ დეპუტატები:

ნუგზარ ოთარის ძე **ნადარაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის თავმჯდომარედ;

ლუბა გიორგის ასული **ნიჟარაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიის თავმჯდომარედ;

მიხეილ ალექსანდრეს ძე **წულაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარედ;

ლეო იასონის ძე **ხაბურზანია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ალექსანდრეს ძე **ანდრონიკაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის წევრად;

რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრად;

ალექსი თევდორეს ძე **გოცირიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრად;

ბიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრად;

ედუარდ პავლეს ძე **ვოიციცკი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრად;

ანდრო ამმიას ძე **ზოდელავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრად;

ნოდარ ვლადიმერის ძე **კოშახიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბანდატო კომისიის წევრად;

თამაზ გიორგის ძე **ლეკიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის წევრად;

ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრად;

თამაზ ილიას ძე **მათიაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრად;

ვახტანგ ივანეს ძე **მანარაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრად;

ალექსანდრე სერგეიმის ძე **მიხაილოვი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრად;

რევაზ ხესტორის ძე **ნაჭყებია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრად;

ზურაბ დომენტის ძე **პაპავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრად;

თამაზ დიმიტრის ძე **რამიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად;

დიმიტრი ლევანის ძე **ქართველიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის წევრად;

ოთარ დანიელის ძე **ქინქლაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრად;

გოჩა გიორგის ძე **ჩოგოვაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად;

მერი პავლეს ასული **წიკლაური** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ შალვას ძე **ჭეიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 18 ივლისი.
№ 106—XI ს.

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

182 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისა და ადამიანთა გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

რომან გიორგის ძე კოვზერიძე — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

ავთანდილ კონსტანტინეს ძე ჯიქია — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 31 ივლისი.
№ 1368—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

183 ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში წვლილისათვის და 1987 წლის ივნის-ივლისში ქ. თბილისში გასტროლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 3 ივლისი.
№ 1331—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

184 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თანამედროვე საწარმოთა ჰიგიენური შრომის პირობების შექმნის პრობლემების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, პროფდაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1332—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

185 ამხ. ა. ი. გორგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან **დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ალექსი იასონის ძე **გოროვიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 **წლის 8 ივლისი.**
№ 1338—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

186 ამხ. დ. მ. იანკოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს სამართლებრივი ინსპექციის გამგე ამხ. დმიტრი მიხეილის ძე **იანკოვსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 **წლის 8 ივლისი.**
№ 1335—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

187 ამხ. პ. ო. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს ჯანმრთელობის კერების გაერთიანების გენერალური დირექტორი ბორჯომი-ლიკანი-ბაკურიანის **საკურორტო ზონაში ამხ. პეტრე ონისიმეს ძე ოსეფ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** **სა-**
პატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1336—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

188 ამხ. ნ. ა. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის საკავშირთაშორისო სასახლის დირექტორი ამხ. ნოდარ ანტონის ძე **კანდელაკი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1334—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

189 ამხ. ე. მ. უბილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ელიზბარ მიხეილის ძე **უბილავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1337—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

190 ამხ. ნ. თ. ფხალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1986-1987 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოების სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით რიტმული უზრუნველყოფისათვის გაწეული აქტიური მუშაობისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ენერგეტიკისა და მექანიკის განყოფილების მთავარი მექანიკოსი ამხ. ნოდარ თენგიზის ძე **ფხალაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1333—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

191 ამხ. ვ. ჯ. ავიძბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ვლადიმერ ჯამალის ძე **ავიძბა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 16 ივლისი.
№ 1346—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

192 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში დამსახურებისათვის, სანატორიულ-საკურორტო უზრუნველყოფის საქმის სრულყოფისათვის და დაარსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სპეციალური სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 22 ივლისი.
№ 1355—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

193 ამხ. რ. ნ. ნაჭყებიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. რევაზ ნესტორის ძე **ნაჭყებია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სპეციალური სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 24 ივლისი.
№ 1358—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

194 ამხ. ო. ა. ომიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ოთარ ალექსანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს ძე ომიაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **ვ. კვარაცხელია**

თბილისი, 1987 წლის 24 ივლისი.
№ 1357—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

195 ამხ. ა. შ. ხოკერბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **და** დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ **სამინაო-კომუნალური** მეურნეობის **მინისტრი ამხ.** ალექსი **შამილის ძე ხოკერბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **ვ. კვარაცხელია**

თბილისი, 1987 წლის 24 ივლისი.
№ 1359—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

196 ამხ. ვ. შ. ბარათაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ვლადიმერ შალვას ძე **ბარათაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ** უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**
საქართველოს سسر **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **ვ. კვარაცხელია**

თბილისი, 1987 წლის 31 ივლისი.
№ 1367—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

197 ამხ. ა. თ. კოგბახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. ამირან თევდორეს ძე **კობახიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 31 ივლისი.
№ 1366—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

198 რესპუბლიკის ხალხური შემოქმედების წარმომადგენლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ფოლკლორული ხელოვნების განვითარებაში **დამსახურებისათვის** მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ედუარდ ვახიდის ძე **ბებიას** — აფხაზეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „შარატინის“ სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ ბალეტმეისტერს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

გიორგი ივანეს ძე **ბუღაძეს** — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო **კოოპერაციის** მუშაკთა **კულტურის** სახლთან **არსებული** ომისა **და** შრომის ვეტერანთა მხატვრული კოლექტივის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ჯუმბერ ნიკოლოზის ძე **ასლამაზაშვილს** — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მუსიკოსს.

ივანე გიორგის ძე **გელიაშვილს** — საქართველოს ხალხური ცეკვის **სახელმწიფო აკადემიური** ანსამბლის სოლისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი დიმიტრის ძე **სიხარულიძეს** — თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება „სინათლის“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1340—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

199 ამხ. მ. გ. ლობჟანიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის თბილისის სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს ამხ. მერაბ გიორგის ძე **ლობჟანიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 8 ივლისი.
№ 1339—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

200 ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“** მიენიჭოთ:

ნატალია გიორგის ასულ **ბაძოშვილს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.

მერი ავქსენტის ასულ **გელოვანს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ფილიპეს ძე **კალანდაძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

დავით სიმონის ძე **საყვარელიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ნოდარ პეტრეს ძე **ქავთარაძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ბორის შალვას ძე **წერეთელს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 14 ივლისი.
№ 1342—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

201 ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“

ვერა ფარნას ასულ **ანთიას** — წალენჯიხის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს სტომატოლოგიური პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს.

დურსუნ ჰასანის ძე **დიასამიძეს** — აჭარის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

ნათელა რევაზის ასულ **თოდრიას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის ექიმ-რადიოლოგს.

მერი ლევთერის ასულ **კოტარიას** — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ბავშვთა განყოფილების გამგეს.

ელენე დომენტის ასულ **მანჯგალაძეს** — ბავშვთა რესპუბლიკური რეაბილიტაციური ცენტრის ექიმ-ორდინატორს.

ელენე სილობისტროს ასულ **მარგველაშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგს.

ნუნუ იონას ასულ **მაჭავარიანს** — რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს ექიმ-ნევროპათოლოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მიხეილის ასულ **მიხაილოვას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური **ცენტრალური** კლინიკური საავადმყოფოს სტატისტიკის განყოფილების გამგეს.

სოფიო ისაკის ასულ **ნერსესიანცს** — ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების გამგეს.

ელენე ვლადიმერის ასულ **ქუთათელაძეს** — თბილისის № 32 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს.

ირაკლი კლიმენტის ძე **ფირცხალავას** — თბილისის № 20 ქალთა კონსულტაციის გამგეს.

ვალენტინა ნიკოლოზის ასულ **ჩაჩბას** — გაგრის ქალაქის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

ზამირა სერგოს ასულ **ცხოვრებოვას** — ცხინვალის ქალაქის საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

ანატოლი მელქისედეკის ძე **ხელიძეს** — თბილისის ქალაქის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორი"

ფილიმონ ვლადიმერის ძე **გაბელიას** — თბილისის № 13 ცენტრალური აფთიაქის უფროს პროვიზორს.

ლევან გიორგის ძე **დუგლაძეს** — რუსთავის საფთიაქო ქსელის საინფორმაციო კაბინეტის პროვიზორ-ინფორმატორს.

„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი"

ეკატერინე არტემის ასულ **მაკაროვას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საამქროს უფროსს.

ინესა ბორისის ასულ **საყვარელიძეს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კლინიკის ოტორინოლარინგოლოგიური განყოფილების უფროს საოპერაციო მედდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 14 ივლისი.
№ 1341—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

202 საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის კომბინირებული საკვების მრეწველობის განვითარებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ** დამსახურებული ინჟინერი“ მიენიჭოთ:

ოთარ ალექსანდრეს ძე **გვენეტაძეს** — მარნეულის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორის მოადგილეს.

ომარ ბენიამინის ძე **კაციტაძეს** — საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 16 ივლისი.
№ 1347—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

203 ამხ. ა. გ. კარანაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. აკაკი გრიგოლის ძე **კარანაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1987 წლის 16 ივლისი.
№ 1344—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

204 ამხ. ა. ი. ხონიაკინასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს ამხ. ადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინა ივანეს ასულ **ხონიაკინას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია**

თბილისი, 1987 წლის 16 ივლისი.
№ 1345—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

205 ამხ. რ. ნ. ბვაზავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს ამხ. რომან ნიკანდროს ძე **ბვაზავას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია**

თბილისი, 1987 წლის 24 ივლისი.
№ 1360—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

206 ამხ. ლ. პ. წეროძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციისა და განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის ჭადრაკის სასახლის დირექტორს ამხ. ლილი პლატონის ასულ **წეროძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია**

თბილისი, 1987 წლის 24 ივლისი.
№ 1356—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკოფილეგა მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1987 წლის 17 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. განხილულ იქნა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარსადგენი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები.

შემდეგ პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა საკითხი 1987 წლის 21 ივნისს ჩატარებული საქართველოს სსრ მეცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის, ავრეთვე მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულების, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში.

ყველა საარჩევნო უბანში კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნებმა ორგანიზებულად და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების ნიშნით ჩაიარა.

რესპუბლიკაში 3.364.656 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 3.364.154 ამომრჩეველმა, ანუ 99,98 პროცენტმა.

არჩეულია სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, 65 რაიონული საბჭოს, 61 საქალაქო საბჭოს, ქალაქების 12 რაიონული საბჭოს, 48 სადაბო და 942 სასოფლო საბჭოს 50.982 დეპუტატი. საქალაქო საბჭოების არ**ჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ გამართულა დეპუტატობის** კანდიდატის შეუფერებელი საქციელის გამო, ხოლო სასოფლო საბჭოების არჩევნების ორ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმების საჭირო რაოდენობა და არ იქნენ არჩეულნი.

არჩეულ დეპუტატთაგან მუშაა 20.290, კოლმეურნე — 14.640, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი — 22.008, უპარტიო — 28.974, მამაკაცი — 25.156, ქალი — 25.826, 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა — 17.322, საკავშირო ალკკ წევრი — 11.743.

წითელი წყაროსა და ოჩამჩირის რაიონებში არჩევნები მოეწყო ექსპერიმენტის წესით მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით. ორივე **რაიონში** შეიქმნა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების არჩევნების 374 საარჩევნო **ოლქი წინათ არსებული 1.498 საარჩევნო ოლქის ნაცვლად.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა საფეხურის საბჭოებში არჩეულია სულ 1.881 დეპუტატი, საიდან შორის 383 სარეზერვო. სასოფლო საბჭოების არჩევნების 7 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმების საჭირო რაოდენობა და არ იქნენ არჩეულნი.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობა 61,8 პროცენტით განახლდა.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,90 პროცენტმა. რესპუბლიკაში არჩეული 184 სახალხო მოსამართლიდან სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია 176, ქალი — 41. სახალხო სასამართლოებში სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა 34,8 პროცენტით განახლდა.

1987 წლის აპრილ-მაისში შრომითს კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ღია კენჭისყრით არჩეულ იქნა 12.880 სახალხო მსაჯული.

ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს.

არჩევნების შედეგებმა დაგვანახა, რომ მთელმა რიგმა ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა საარჩევნო კამპანია სრულად ვერ გამოიყენეს დემოკრატიზაციის პროცესის დასაჩქარებლად, მშრომელთა უფრო ფართოდ ჩასაბმელად გარდაქმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებაში. შეინიშნებოდა ახალი ამოცანების ძველი, დაშტამპული მეთოდებით გადაწყვეტის ცდები. ვერ აღმოიფხვრა ფორმალიზმი და ზედმეტი ორგანიზებულობა.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში არ იყო შექმნილი საჭირო პირობები დეპუტატობის კანდიდატურათა საქმიანი და ყოველმხრივი განხილვისათვის, ზოგან კრებები ეწყობოდა ნაჩქარევად, ფორმალურად, ამომრჩეველთათვის მოუხერხებელ დროს, არ ტარდებოდა მოსახლეობაში სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ახალი საარჩევნო კამპანიის თავისებურებებზე, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების პრინციპებზე. ბევრ შრომითს კოლექტივში დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად მოწვეულ კრებებს იშვიათად ესწრებოდნენ საარჩევნო ოლქების ამომრჩევლები, ზოგიერთ კრებაზე დეპუტატობის კანდიდატურების განხილვისას შეიმჩნეოდა დამსწრეთა გაუბედაობა და შებოჭილობა.

ყველა საბჭომ როდი იზრუნა იმისათვის, რომ დეპუტატობის კანდიდატი შეხვედროდა თავისი ოლქის რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველს.

თბილისში, ტყიბულში, ჭიათურაში, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ქარელის, მაიაკოვსკის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, გურჯაანის, წალკის, ჩხოროწყუს და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში დეპუტატთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

იმის გამო, რომ დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისას მათდამი ყოველთვის არ იყო პრინციპული მიდგომა, საოლქო საარჩევნო კომისიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ რეგისტრაციაში გატარების შემდეგ სხვადასხვა მიზეზით (გარდაცვლილ-თა გარდა) შეიცვალა დეპუტატობის 11 კანდიდატი.

საკითხის განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კი რეკომენდაცია მიეცა გაითვალისწინოს სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა შემადგენლობის მნიშვნელოვნად განახლება და თანამიმდევრულად განახორციელოს „მართლმსაჯულების აღსასრულებლად, მოსახლეობას შორის პროფილაქტიკურ-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 26 თებერვლის დადგენილების შესასრულებლად დასახული ღონისძიებანი.

* *
*

სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება 1987 წლის 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს რეკომენდაცია მიეცათ გააცნონ ამომრჩევლებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიისა და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; ანგარიში ჩააბარონ მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მუდმივი კომისიების მუშაობის, თავიანთი საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა დარაზმვას 1987 წლის სახელმწიფო გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების უცილობლივ შესრულებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ უზრუნველყონ საცხოვრებელ ადგილას და შრომითს კოლექტივებში ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრების ორგანიზებულად ჩატარება; ყურადღებით განიხილონ და განაზოგადონ შეხვედრების დროს გამოთქმული წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები, მიიღონ ოპერატიული ზომები მათს განსახორციელებლად და სათანადო ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის 10 აგვისტოსათვის.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნა ცნობად, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პუტატები უზრუნველყოფილი არიან სათანადო საინფორმაციო-საცნობარო მასალებით.

სათანადო დავალება მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

*

* *

მოისმინა რა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორის ამხ. ლ. თალაკვაძის ინფორმაცია კანონმდებლობის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდისათვის რედაქციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ჟურნალმა მნიშვნელოვნად გააქტიურა საქმიანობა სამართალდამცველი ორგანოების, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების, მოსახლეობის იურიდიული ცოდნისა და სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად. გამოქვეყნებულ მასალებში ასახულია ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი; სისტემატურად შუქდება სამართლებრივი პროპაგანდის საკითხები; საგრძნობლად გაიზარდა ტირაჟი; უზრუნველყოფილია მისი დადგენილ ვადებში გამოცემა.

ამასთან ერთად ჟურნალის სამართალგანმარტებითი მუშაობა ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. პუბლიკაციებში შეიმჩნევა კრიტიკული მასალის სიმცირე, ნაკლები ადგილი ეთმობა შრომის, სოციალისტიკ, მიწის, საოჯახო, ბუნების დაცვისა და სხვა კანონმდებლობის ამ საკითხების პროპაგანდასა და განმარტებას, რომლებითაც მოსახლეობაა დაინტერესებული, საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ პრობლემებს, მით უმეტეს, რომ დღემდე არ არის გამოცემული შესაბამისი დარგობრივი საცნობარო-განმარტებითი ლიტერატურა.

იშვიათად იბეჭდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის ახლად მიღებული აქტები კომენტარებით. საკმარისი არ არის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) თაობაზე კანონების პროპაგანდა, სუსტად შუქდება ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

სამართლებრივი პროპაგანდის თემატური მიმართულება მჭიდროდ არ არის დაკავშირებული სამართალდარღვევათა დინამიკასთან, რაც აქვეითებს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების პროფილაქტიკურ მნიშვნელობას; ქმედითი კონტაქტები არ არის დამყარებული მკითხველთა ფართო აქტივთან; ნაკლები ყურადღება ექცევა იურიდიული კადრების აღზრდის საკითხს; ვერ დაინერგა კონფერენციების, „ბრგვალი მაგიდის“, სხვა საჭირო ღონისძიებათა სისტემატური ჩატარება, მცირეა შტატგარეშე კორესპონდენტთა რიცხვი; დღემდე არ შექმნილა სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო.

„საბჭოთა სამართალი“ რესპუბლიკის ერთადერთი იურიდიული პერიოდული გამოცემაა, რომელსაც ძალუძს სისტემატური და ეფექტიანი მუშაობა გასწიოს კანონმდებლობის განმარტებისა და სამართლებრივი აღზრდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაში ფართოდ მიმდინარე გარდაქმნისა და დაჩქარების, დემოკრატიზაციის პროცესის პირობებში განსაკუთრებით იზრდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მნიშვნელობა. ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ამ მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობას და მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ჟურნალი გამოდის ორ თვეში ერთხელ, არ აქვს სათანადო ყოველკვარტალური დამატება ოფიციალური მასალების გამოსაქვეყნებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალება მისცა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას, საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, რესპუბლიკის პროკურატურას და უმაღლეს სასამართლოს.

გაითვალისწინა რა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მნიშვნელობა და როლი კანონმდებლობის პროპაგანდასა და სამართლებრივ აღზრდაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია ეთხოვოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჟურნალის ყოველთვიურად გამოცემისა და მისი ყოველკვარტალური დამატების დაარსების შესახებ.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა სხვა საკითხებიც. ყველა მათგანზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

1987 წლის 18 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. პ. ქირიას ხსოვნას, რომელიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალა.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ვ. ყარყარაშვილის მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად შეტანილ იქნა შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილების თაობაზე.

2. პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ზ. შ. მესხიშვილი იმასთან დაკავშირებით, რომ მისი უფლებამოსილება ვადამდე შეწყდა და პრეზიდიუმის წევრად აირჩია დეპუტატი ი. ო. ანდრიაძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე გაკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. ე. ჩერქეზიამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ა. ი. პავშენცევი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ო. გ. ზუხბაია — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გ. პ. გუგუშვილი — ფოთის საზღვაო ნავსადგურის მეამწე, გ. ი. ჩიგოგიძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ა. ქელეხსაევა — ცხინვალის „მინანქარსადენის“ ქარხნის მომმინანქრებელი, ფ. მ. დემურჩიევა — მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, გ. ზ. მირიანაშვილი — საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე, ნ. ვ. რუსიეშვილი — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კ. ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მ. პ. აფაქიძე — „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ა. ლ. მირზოიანი — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავი, ნ. ნ. ნეფედოვი — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი, თ. ი. ხაზარაძე — საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. დ. დიხტიარი — თბილქალაქმშენის გაერთიანების № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ი. ნ. ციციშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, ამხანაგები — ვ. ა. ოყრეშიძე — ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ზ. გ. გენძეხაძე — სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი, გ. საბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი — საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სახელზე საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის სისტემის მუშაკთა ჯგუფის მიერ ბინების მშენებლობის თაობაზე გამოგზავნილ წერილ-საჩივარს უპასუხა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა კ. ნ. შავიშვილმა.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი პ. გ. გილაშვილი.

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო დადგენილება.

მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ვ. ა. კვარაცხელიამ.

მიღებულ იქნა შესაბამისი კანონი და დადგენილებები.

სესიაზე შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების და მშენებლობისა და საშინ მასალათა მრეწველობის კომისიების ერთობლივი სხდომა. განხილულ იქნა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოდ მიღების, ადგილზე დამკვიდრების და მათთვის საჭირო შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, უკანასკნელ ხანს რამდენადმე გააძლიერა ზრუნვა ახალგაზრდა სპეციალისტთა მიღება-განაწილების საქმის და მათთვის სათანადო შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

სამინისტროს სისტემაში დღეისათვის 8886 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკია, აქედან უმაღლესი განათლება აქვს 6310-ს, საშუალო-ტექნიკური — 2160-ს, ხოლო 416 პრაქტიკოსია, 110 — გამომგონებელი და რაციონალიზატორია.

ბოლო წლებში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა (მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების გაერთიანება, შემდეგ კი მათგან აგრომშენის გამოყოფა) ერთგვარი კორექტივები შეიტანა ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების საქმეში. ბოლო ორი წლის მანძილზე მშენებლობის სამინისტროს სისტემაში მოვიდა 297 ახალგაზრდა სპეციალისტი, მათგან

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს ორგანიზაციებში სტაჟირებას გადის 284, 13 ახალგაზრდამ სხვა-დასხვა ობიექტური მიზეზის გამო არ მოისურვა სისტემაში მუშაობა.

სამინისტროს სისტემაში ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე მიღებისა და დამკვიდრების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაშინ როდესაც მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

სამშენებლო ტრესტებში მუშაობა ნორმირებული არ არის, სახაზო პერსონალის სამუშაო 8 საათზე იწყება და 20 ან 21 საათზე მთავრდება; ამასთან შაბათი და კვირაც სამუშაო დღეებად არის გამოყენებული და ახალგაზრდა სპეციალისტებს დრო არ რჩებათ თავიანთი პროფესიული, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, არ არიან ჩაბმული კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.

ასეთი დატვირთვით მუშაობენ „თბილქალაქმშენის“ ქვედანაყოფები, ქ. ქუთაისის № 4 ტრესტი, ქ. ზუგდიდის № 12 ტრესტი, „აგრომშენის“ № 9 ტრესტი, სახლთსაშენებელი კომბინატი და მრავალი სხვა. მთელი რიგი სამშენებლო ტრესტების საქმიანობაში შეინიშნება იერიშობანა; არ არის დაცული გეგმურობა.

ძირეული რგოლების ხელმძღვანელები, სახაზო პერსონალი სამსახურებრივი დატვირთვის მიზეზით უარს ამბობენ წარმოებისაგან მოწყვეტით კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც უარყოფითად მოქმედებს მათი ტექნიკური ცოდნის დონეზე. სამუშაოთა მწარმოებლების შვებულებაში გასვლის დროს არ ტარდება ობიექტების ინვენტარიზაცია, რაც ხელს უწყობს მიწერებსა და ნეგატიური ხასიათის სხვა მოვლენებს.

მშენებელთა საერთო საცხოვრებლებში არ არის ელემენტარული საყოფაცხოვრები პირობები. ქ. რუსთავის, ქ. ფოთის № 10 ტრესტის და სხვა სამშენებლო ქვეგანაყოფში არ არის მოწყობილი სასადილო.

სერიოზული ნაკლოვანებებია ახალგაზრდობის თავისუფალი დროის, დასვენების ორგანიზაციაში. სუსტია ამ საქმეში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული კავშირების როლი. ახალგაზრდები არ არიან უზრუნველყოფილი სპორტული ბანაკების და დასვენების კერების სხვა საგზურებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მისი ქვედანაყოფები არასაკმარისად აანალიზებენ ახალგაზრდა მშენებლებთან მუშაობის პრობლემებს და სრულად არ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს, სადირექტივო ორგანოების პრინციპული მითითებებიდან არ აკეთებენ სათანადო დასკვნებს მუშაობის გარდასაქმნელად. სისტემაში არ არის დამყარებული ჯეროვანი სახელმწიფო წესრიგი, დაბალია საქმის ორგანიზაცია, კადრების პასუხისმგებლობა და დისციპლინა არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა სათანადო რჩევა ეძლევა საქართველოს სსრ მშენებლობის, ვაჭრობის, კულტურის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ცეკავშირის გამგეობას და რესპუბლიკის შემოქმედებით კავშირებს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ თავის სხდომაზე მოისმინა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში" მართვის მეთოდების სრულყოფისათვის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად ახალგაზრდა ინჟინრებისა და სპეციალისტების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად გაერთიანება „ელვას" სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შინაარსი და შედეგები ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნებს. არადამაკმაყოფილებელია ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების დონე და მათი წარმოებაში დასაქმების მაჩვენებელი, ჩატარებული კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა.

კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია რესპუბლიკისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ნაკლოვანებებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებისა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვის საქმეში. სრულყოფას საჭიროებს წარმოებისა და მისი ქვედანაყოფების სამუშაოების დაგეგმვა და მართვის სისტემები.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებას. 1982 წლიდან გაუქმებულია ასპირანტურა, შემცირებულია მიზნობრივი ასპირანტურის ადგილები, მაშინ როცა თვით გაერთიანებაში არასაკმარისია კვალიფიციური კადრები, რომლებიც ასპირანტების ხელმძღვანელობას შესძლებდნენ.

ინსტიტუტ „ტნიისაში" განყოფილების გამგეების უმრავლესობას ხარისხი არა აქვს, რაც ხელს უშლის შესაბამის განყოფილებაში მეცნიერების კანდიდატთა მომზადებას. გაერთიანებაში არსებული ბიბლიოთეკა თავისი საინფორმაციო ფონდით ვერ უპასუხებს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნებს. ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ 5 წლის მანძილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებული 37 სამეცნიერო შრომიდან უმეტესობა დაბეჭდილია ...ებ-ლების სახით.

ბოლო 5 წლის განმავლობაში მხოლოდ სამმა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელთა თემატიკა არ ემთხვევა ინსტიტუტისას და ამდენად მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს გაერთიანებისათვის არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებაში დიდია ახალგაზრდების დენადობა. ზემოაღნიშნულ პერიოდში გაერთიანებაში მოსული 400-მდე ახალგაზრდიდან წავიდა 96, რაც განპირობებულია იმით, რომ არ არის შემოქმედებითი მუშაობის, კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალური და მორალური წახალისების ხელშემწყობი პირობები.

არასაკმარისია ის მუშაობა, რომელიც ტარდება უმაღლესი სასწავლებლებიდან და საშუალო სკოლებიდან გაერთიანებაში ახალგაზრდა კადრების მიზიდვისათვის.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია წარმოებაში ახალგაზრდობის აღზრდის, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტის საქმეში. გაერთიანების ადმინისტრაცია, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო კონტროლსა და კოორდინაციას არ უწევენ ახალგაზრდების საქმიანობას, მათს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ საჭირო რჩევა მისცა თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ ხელმძღვანელობას.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომამ მოისმინა რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის თანამოხსენება სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობისა და მშენებლობის ხარისხის ამაღლებისათვის რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მიუხედავად გაწეული გარკვეული მუშაობისა ამჟამად მშენებლები ვერ უზრუნველყოფენ გეგმური დავალებების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ 1977-1982 წლებში რუსთავში წარმატებით ხორციელდებოდა ორლოველ მშენებელთა ორწლიანი დაგეგმარების, დაპროექტებისა და მშენებლობის მეთოდი. ამ პერიოდში ობიექტები ბარდებოდა რიტმულად და მშენებლობის ხარისხი გაცილებით უკეთესი იყო.

შემდგომში მართვის ერთიანი სისტემა დაირღვა, მშენებლობის ტემპმა იკლო, გახშირდა გეგმურ დავალებათა შეუსრულებლობა, რასაც მოჰყვა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერების და ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების დაწესებული ნორმებისა-
ეხელში დარღვევა. ამის გამო მიმდინარე წლის დასაწყისში აღრიცხვიდან მო-
ეხსნა 21 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართი, ბავშვთა
პოლიკლინიკა. მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა შესრულდა მხოლოდ
91%-ით. კვლავ საგრძნობი ჩამორჩენაა კომუნალური დანიშნულების
ობიექტების მშენებლობის საქმეში, შეუსრულებელია ჯახმრთელობის დაცვი-
სა და სახალხო განათლების ობიექტების მშენებლობის გეგმები.

კაპიტალური მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ძირი-
თადად გამოწვეულია ორწლიანი დაგეგმარების, დაპროექტებისა და მშენებ-
ლობის პრაქტიკის უსაფუძვლო შეწყვეტის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის არადროულად, უხარისხოდ მომზადებისა და მოიჯარე
ორგანიზაციებისათვის დაგვიანებით გადაცემის, უხარისხო შემაკავში-
რებელი და შემავსებელი მასალების არც თუ იშვიათი მიწოდების, სამშენებ-
ლო ინდუსტრიის საწარმოების სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სა-
დურგლო ნაკეთობათა დაბალი ხარისხის, მაღალკვალიფიციური მუშახელის
ნაკლებობისა და სხვ. შედეგად.

ქალაქის ხელმძღვანელობამ დროულად ვერ შეაფასა შექმნილი მდგომა-
რეობის მთელი სერიოზულობა, დაბალია სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბ-
ჭოს მაკოორდინებელი როლი. საკმარისი ყურადღება არ ექცევა მშენებლობის
ხარისხს, სამშენებლო მოედნების წინასწარ მომზადებას, მისასვლელი გზებისა
და დამხმარე ნაგებობების მოწყობას, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების
გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა
მრეწველობის კომისიამ შესაბამისი რჩევა მისცა რუსთავის სახალხო დეპუ-
ტატთა საქალაქო საბჭოს, რუსთავის სახლსაშენებელ კომბინატსა და საქართ-
ველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტს, რუსთავის სახალხო
დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამ-
მართველოს, საქართველოს სსრ მშენებლობის, საქართველოს სსრ საშენ მა-
სალათა მრეწველობის სამინისტროებს, სახმშენსა და საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართ-
ველოს.